საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 30 ივლისი. 2021 წ. №165 (9284) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

②

„ქართული ოცნება“ 19 აპრილის შეთანხმებას ანულირებულად აცხადებს

„ქართულ ოცნებას“ შეთანხმების ანულირების საშუალება „ნაცმოძრაობის“ ძალიან უპასუხისმგებლო საქციელმა მისცა ②

ლაშა ბექაურს გამარჯვება პირადად მიულოცა

ირაკლი ღარიბაშვილმა ლაშა ბექაურს ტოკიოს ოლიმპიადაზე გამარჯვება ტელეფონით პირადად მიულოცა.

„პირველი ოქრო! ლაშა ბექაური ტოკიოს ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულია! ქართველმა ძიუდოისტმა ფინალში გერმანელი ედუარდ ტრიპელი დაამარცხა! ვულოცავ ლაშას და მთელ საქართველოს!“, — წერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელში.

ლაშა ბექაური პრემიერ-მინისტრის მსგავსად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდანაა. ტოკიოს ოლიმპიადაზე ძიუდოისტმა ლაშა ბექაურმა საქართველოს ნაკრებს პირველი ოქროს მედალი მოუტანა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, სპორტსმენი, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს, ერთ მილიონ ლარს მიიღებს.

* * *

ლაშა ბექაურს ოლიმპიადაზე ოქროს მედლის მოპოვება საქართველოში აშშ-ს საელჩომაც მიულოცა.

ვახტანგ ძაბირაძე: ნაცმოძრაობას მხარს არავინ დაუჭერს! ⑤

მელიამ პარლამენტი მიატოვა

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკა მელია საპარლამენტო მანდატს ტოვებს.

ამის შესახებ მან პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„პირადად მე, მთლიანად მივდივარ ოქტომბრის რეფერენდუმის ბრძოლაში და ვტოვებ იქაურობას. ეს ნიშნავს, რომ მე ვტოვებ საპარლამენტო მანდატს და თავიდან ბოლომდე ელენესთან, მეგობრებთან, ქართველ ხალხთან ერთად გადავდივარ უმნიშვნელოვანეს რეფერენდუმში მონაწილეობის მისაღებად.

ამავე დროს, ჩემი უმორჩილესი თხოვნით, პრინციპული პოზიციით, პრინციპული დამოკიდებულების გათვალისწინებით გუნდის შიგნით ვთხოვე ჩემს მეგობრებს, რომ ისინი ამ ეტაპზე დარჩნენ ტექნიკურად, ფორმალურად პარლამენტში, რათა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასასვლელი პროცედურები ბოლომდე მივაყვანინოთ „ქართულ ოცნებას“. ამის შემდეგ რა თქმა უნდა, მოუწევთ ამ ყველაფრის გაკეთება და თუ ამაზეც ხელი აიღეს, საერთაშორისო საზოგადოება მეტად მკაფიოდ დაინახავს, რამხელა სივერაგესთან აქვთ საქმე.

რეფერენდუმში გამარჯვების შემდეგ ეს პარლამენტი დაიშლება და იქნება ქართველი ხალხის მიერ არჩეული ახალი ლეგიტიმური პარლამენტი. მე, ნიკა მელია ვტოვებ პარლემენტს, საპარლამენტო მანდატს, მაგრამ ჩემი პრინციპული თხოვნით, მიუხედავად წინააღმდეგობისა გუნდის შიგნით, ტექნიკურად და ფორმალურად ჩვენი მეგობრები ამ ეტაპზე პარლამენტში რჩებიან“, — განაცხადა ნიკა მელიამ.

სალომე ზურაბიშვილი შარლ მიშელს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტმა შარლ მიშელთან შეხვედრა გამართა. სალომე ზურაბიშვილი ევროპული საბჭოს პრეზიდენტს საფრანგეთში ესაუბრა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, არაფორმალურ შეხვედრაზე ზურაბიშვილმა და მიშელმა საქართველოში განვითარებული მოვლენები განიხილეს.

საქართველოში რიგ პოლიტიკურ აქტორებთან კონსულტაციები იწყება

ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, **შარლ მიშელმა** განაცხადა, რომ საქართველოში კონსულტაციები იწყება.

„მე ცნობად მივიღე „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილება 19 აპრილის შეთანხმებასთან დაკავშირებით. აღნიშნული შეთანხმება კვლავ წარმოადგენს ევროპულ გზას საქართველოში უფრო ძლიერი დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის მშენებლობის-

თვის, ქართველი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე. მე თანაბრად მივიღე ცნობად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ხელშეკრულებაზე ხელის არმოწერა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს შეთანხმება საუკეთესო გზაა რეფორმის დღის წესრიგის განსახორციელებლად, რომელიც გააძლიერებს საქართველოს დემოკრატიულ ინსტიტუტებს და ხელს შეუწყობს კეთილდღეობასა და სამუშაო ადგილების ზრდას — ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ხალხის კეთილდღეობისთვის. სიღრმისეულ საარჩევნო და სასამართლო რეფორმებსა და თავისუფალ და სამართლიან ადგილობრივ არჩევნებს ალტერნატივა არ აქვს. მოვუწოდებ ყველა მხარეს, პირველ ადგილზე დააყენონ მოქალაქეების ინტერესები და ხელი შეუწყონ საქართველოს პოლიტიკური დისკურსის წინსვლას ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების ფარგლებში. საქართველოში რიგ პოლიტიკურ აქტორებთან კონსულტაციები იწყება. შევხვდი პრეზიდენტ ზურაბიშვილს შექმნილი სიტუაციისა და ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების განსახილველად“, — ნათქვამია შარლ მიშელის განცხადებაში.

ირაკლი კობახიძე: მზად ვართ, ჩვენი კეთილი ნებით, რიგგარეშე არჩევნები არათუ ხმების 43%-ის, არამედ 53%-ის შემთხვევაშიც კი დავნიშნოთ

„ქართული ოცნების“ ოფისში გამართულ ბრიფინგზე პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე 19 აპრილის შეთანხმებით გათვალისწინებულ პუნქტებზე საუბრისას ქვეყანაში რიგგარეშე არჩევნების გამართვის საკითხსაც შეეხო.

„რაც შეეხება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების საკითხს. უპირველეს ყოვლისა, გვინდა აღვნიშნოთ, რომ კოალიციური მმართველობის ჯანსაღი ტრადიციის დამკვიდრება და სხვა პოლიტიკურ პარტიებზე სახელმწიფოს მართვის პასუხისმგებლობის განაწილება საუკეთესო ევროპული პრაქტიკაა. „ქართული ოცნება“ ამას მხოლოდ მხარს უჭერს და მიესალმება. შესაბამისად, მზად ვართ, ჩვენი კეთილი ნებით, რიგგარეშე არჩევნები არათუ ხმების 43%-ის, არამედ 53%-ის შემთხვევაშიც კი დავნიშნოთ, თუკი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ქცევიდან ამოვიკითხავთ, რომ ჩვენი პოლიტიკური სისტემა ეფექტიანი კოალიციური მმართველობისთვის მომწიფებულია და სახელმწიფოს მართვის ამგვარი რეჟიმი მის ინტერესებს არ დააზიანებს. ასეთ შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები დაინიშნება ჩვენი კეთილი ნებით იმ კონსტიტუციური პრაქტიკის შესაბამისად, რომელიც განვითარებულ ევროპულ დემოკრატიებშია დამკვიდრებული“, — განაცხადა კობახიძემ.

„ქართული ოცნება“ 19 აპრილის შეთანხმებას ანულირებულად აცხადებს

ეს განცხადება პარტიის ლიდერებთან ერთად გამართულ ბრიფინგზე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ გააკეთა. მისი თქმით, რადიკალური ოპოზიცია ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ არჩევნების წინ პოლიტიკური პოლარიზაცია არა თუ შემცირდეს, არამედ პირიქით, უკიდურესად გაღრმავდეს.

„19 აპრილის შეთანხმების ცალმხრივი ერთგულება ჩვენი პარტიისთვის შეურაცხმყოფელია და ამგვარ უპრინციპობას ამომრჩეველი არ გვაპატიებს. 19 აპრილის შეთანხმებამ მოკლევადიან პერსპექტივაში პოლიტიკური პროცესების განვითარებაში დადებითი როლი შეასრულა. ოპოზიცია იძულებული გახდა შეეწყვიტა საბოტაჟი, რომლითაც ქვეყნის ინტერესებს აზიანებდა. შესაბამისად, კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდით ევროპული საბჭოს პრეზიდენტს, შარლ მიშელს მისი ძალისხმევისა და მხარდაჭერისთვის. თუმცა დღეს, დოკუმენტის ხელმოწერიდან 100 დღის თავზე აშკარაა, რომ მან თავისი მისია შეასრულა და თავი ამოწურა“, — განაცხადა კობახიძემ.

მისივე თქმით, 19 აპრილის შეთანხმების ანულირებით ქვეყანა დაუბრუნდა კონსტიტუციურ ჩარჩოს.

„სამწუხაროა, რომ ოპოზიციის რადიკალურმა ნაწილმა 100 დღის განმავლობაში ხელი არ მოაწერა 19 აპრილის შეთანხმებას, რითაც ძირი გამოუთხარა დოკუმენტის მიზანს — შეამციროს პოლიტიკური პოლარიზაცია და ხელი შეუწყოს ჯანსაღი პოლიტიკური კონკურენციისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბებას პოლიტიკურ პარტიებს შორის. თუმცა, როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელია. 19 აპრილის შეთანხმებისანულირებით, დღეიდან ქვეყანა დაუბრუნდა კონსტიტუციურ ჩარჩოს და პოლიტიკური პროცესები საქართველოში მოქმედი კონსტიტუციური წესრიგის შესაბამისად გაგრძელდება“, — აღნიშნა კობახიძემ.

ქალაქის მერი „სამშენებლო ამნისტიის“ შესახებ

თბილისის მერის, კახა კალაძის განცხადებით, „სამშენებლო ამნისტიის შესახებ“ კანონი ძალაში შედის, დედაქალაქის მერია კი კანონის აღსრულებისთვის საჭირო წესსა და პროცედურებს ამტკიცებს.

როგორც მან თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, დაინტერესებულ პირებს მიეცემათ შესაძლებლობა, ისარგებლონ ამ კანონით დადგენილი შეღავათებითა და სპეციალური რეჟიმებით.

„საქართველოს პარლამენტმა დაასრულა სამშენებლო ამნისტიასთან დაკავშირებით საკანონმდებლო პაკეტის განხილვა. კანონი უკვე მიღებულია, გამოქვეყნებულია და ძალაში შედის 28 ივლისიდან. თბილისის მუნიციპალიტეტი დაამტკიცებს ამ კანონის აღსრულებისთვის საჭირო წესს და პროცედურას და დაინტერესებულ პირებს მიეცემათ შესაძლებლობა, ისარგებლონ ამ კანონით დადგენილი შეღავათებითა და სპეციალური რეჟიმებით. კანონი შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან. პირველი მოიცავს 2020 წლის 18 აგვისტომდე, ნებართვის საფუძველზე დასრულებულ მშენებლობებზე ზოგიერთი სამშენებლო დარღვევის პატიებას. ეს დარღვევებია ფართობის გადამეტება, განაშენიანების კონტურის დარღვევა, „წითელი ხაზების“ დარღვევა, ფუნქციური ზონის დარღვევა და ა.შ. ასევე, ამ დარღვევების პატიებისთვის საჭირო წესებს და პროცედურებს.

კანონის მეორე ნაწილი ითვალისწინებს, მომავალში ასეთი დარღვევების თავიდან არიდებისა და პრევენციის მიზნით, პასუხისმგებლობის დამძიმებას, რომ იგივე არ განმეორდეს. კერძოდ, სამშენებლო დარღვევების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებას დამრღვევი პირების მიმართ“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

რაც შეეხება კანონის მესამე ნაწილს, დედაქალაქის მერის თქმით, ეს ეხება შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესებს. კერძოდ, იმ მშენებლობების შემთხვევაში, რომლებიც შეიცავენ საყოფაცხოვრებო ფართებს.

„ექსპლუატაციაში მიღებამდე დაუშვებელი გახდება ელექტროენერგიითა და გაზით მომარაგება. ეს არის ცვლილება, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ არ დაიწყოს ამ შენობების საყოფაცხოვრებო ფუნქციით გამოყენება, სანამ შენობას უფლებამოსილი ორგანო არ მიიღებს ექსპლუატაციაში. აღნიშნული წესი ამოქმედდება 2022 წლის პირველი იანვრიდან და გავრცელდება იმ მშენებლობებზე, რომელზეც მშენებლობის ნებართვა გაიცემა 2022 წლის პირველი იანვრის შემდგომ. აღნიშნული შესწორება განხორციელდა სამშენებლო სექტორის წარმომადგენლებთან მჭიდრო კომუნიკაციის შედეგად“, — განაცხადა თბილისის მერმა.

კახა კალაძემ საქართველოს პარლამენტს და ასევე, ყველა იმ ადამიანს, ვინც აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის მხარდაჭერისა და კანონის მიღების პროცესში იყო ჩართული, მადლობა გადაუხადა.

მისივე თქმით, ამნისტია არ არის უპირობო აქტი და უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი შესაბამისად იმოქმედებს.

„ამ საკანონმდებლო პაკეტის საფუძველზე, ძალიან ბევრი ადამიანის ქონებამ შეიძინა ღირებულება და ლეგიტიმაცია. ქონება, რომელიც წარმოადგენდა არასრულ აქტივს, ვინაიდან არ იყო ექსპლუატაციაში და ვერც იქნებოდა ექსპლუატაციაში მიღებული, კონკრეტული სამშენებლო კომპანიების კანონდარღვევიდან გამომდინარე. ეს პრობლემა იყო იმ ოჯახებისთვის და ძალიან მალე ეს ყველაფერი იქნება მოწესრიგებული და მოგვარებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამნისტია არ არის უპირობო აქტი. იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია უსაფრთხოების ნორმები, მუნიციპალიტეტი აწესებს მოთხოვნას, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღება შენობა-ნაგებობა ექსპლუატაციაში. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია კონსტრუქციული ნახაზი ან კონსტრუქციული პროექტი, მოითხოვება აკრედიტებული საექსპერტო დაწესებულების დასკვნა ფაქტობრივად განხორციელებული სამუშაოების უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ“, — განაცხადა თბილისის მერმა.

მისივე განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ შენობა-ნაგებობას არ აქვს მოწესრიგებული ფასადი, დამაბრკოლებელ გარემოებას ესეც წარმოადგენს.

ლევან იოსელიანი: „ქართულ ოცნებას“ შეთანხმების ანულირების საშუალება „ნაცმოძრაობის“ ძალიან უპასუხისმგებლო საქციელმა მისცა

„წარმოუდგენელი ენერგია დახარჯა ქვეყანამ იმისთვის, რომ ეს შეთანხმება მიღწეულიყო და „ქართულმა ოცნებამ“ ცალმხრივად თქვა ამაზე უარი, მაგრამ უნდა ვთქვა ისიც, რომ ამის გაკეთების საშუალება მას მისცა „ნაციონალური მოძრაობის“ ძალიან უპასუხისმგებლო საქციელმა, რომელმაც არ მოაწერა ხელი დოკუმენტს და გაუხსნა ხელ-ფეხი „ქართულ ოცნებას“, რომ ცალმხრივად უარი ეთქვა ამ შეთანხმებაზე. ეს არის ჩემი აზრით თანაბარი უპასუხისმგებლობა და ამ უპასუხისმგებლობას „ნაციონალური მოძრაობა“ იჩენდა ამ პერიოდის განმავლობაში. ჩემთვის ეს არ იყო ძალიან დიდი სიურპრიზი. **ხშირად საუბრობდნენ, რომ ეს აქამდე მივიდოდა“,** — განაცხადა „მოქალაქეების“ დეპუტატმა ლევან იოსელიანმა. დეპუტატის აზრით, შეთანხმების ანულირების მთავარი მიზეზი თვითმმართველობის არჩევნების რეფერენდუმად გადაქცევისთვის თავის არიდებაა.

„საკონსტიტუციო ცვლილებები არის გადასარჩენი, ამ ცვლილებებზე უარის თქმა, შეიძლება შედიოდეს „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესშიც, რომ ბარიერი არ იყოს — 2 პროცენტიანი. ფაქტია „ქართულ ოცნებას“

არ სურს თვითმმართველობის არჩევნები გადააქციოს ერთგვარ რეფერენდუმად, ამიტომ მოხდა ამის ანულირება. მეორე საკითხია რამდენად იყო ამ თემის რეფერენდუმად გადაქცევა ყველა პარტიისთვის სწორი გადაწყვეტილება, რადგან ეს აქამდე რომ მივიდოდა, უნდა ყოფილიყო განხილული პარტიებში. ჩვენ ამაზე ვმსჯელობდით პარტიის შიგნით, რომ ეს ამას გამოიწვევდა. მთავარი ამოცანა ახლა არის ის, რომ მშვიდობით მივიდეთ თვითმმართველობის არჩევნებამდე და მივაღწიოთ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომელიც გამოიწვევს ბარიერის შემცირებას და უნდა ჩავატაროთ სამართლიანი არჩევნები. ეს არის მთავარი გამოწვევა ახლა და საბოლოო ჯამში ეს პოლარიზება უნდა დავასრულოთ“, — განაცხადა ლევან იოსელიანმა.

მამუკა მდინარაძე: იმ პირობების უდიდესი ნაწილი, რაც შეთანხმებაში იყო, პრაქტიკულად შესრულებულია

„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანის მამუკა მდინარაძის თქმით, უმრავლესობას რაციონალური წინადადებების გაზიარების ვალდებულება ხალხის წინაშე აქვს და არა იმათ წინაშე, რომლებსაც ხელიც კი არ მოუწერიათ შეთანხმებაზე.

„შეთანხმებაში არის დეტალები, რომელთა შესრულებაც მართლა შესაძლებელი იყო პოლარიზაციის შემცირების ხარჯზე. მაგალითად, საპარლამენტო პოზიციების გადანაწილების საკითხი. „ნაცმოძრაობის“ წევრები, მაგიდებზე შიშველი ფეხებით რომ დახტიან და თუ ეს პარლამენტის საქმიანობის სრულფასოვნებაა, მაშინ კი ბატონო. ესენი ახლა კომიტეტების თავმჯდომარეებად დავნიშნოთ, ჩვენთან ერთად საქმის კეთება და პასუხისმგებლობის გაზიარება მოვთხოვთ, არ ვიცი, რამდენად სერიოზული იქნებოდა. ეს არის ერთ-ერთი დეტალი, როგორც მტკიცებულება რადიკალიზაციისა და პოლარიზაციის ხარისხის გაზრდის. ამას ვგულისხმობდით სწორედ. მიუხედავად ამისა, ვინც რაციონალურ ქმედებებს აჩვენებდა, ვინც აჩვენებს არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც, რომ ევროპული მომავალი მნიშვნელოვანია ამ ქვეყნისთვის, სოციალური პრობლემების მოგვარება, ეროვნული საკითხები მნიშვნელოვანია, მათთან ამ თემებზე სასაუბროდ მზად ვართ. მაგალითად „გირჩის“ წარმომადგენლები საკონსტიტუციო ცვლილებებზე წუხდნენ. გავაგრძელოთ ამაზე მუშაობა. რაციონალური წინადადებები გავცვალოთ. ერთად გადავარჩინოთ თუ რამე გადასარჩენია, მაგრამ ყველა საკითხის გადაწყვეტა რაღაც ვალდებულებებიდან კი არ უნდა გამომდინარეობდეს, რომელსაც მთავარი ოპოზიციური პარტია ამ ქვეყანაში მხარედაც არ ჰყავს მიერთებული, არამედ კონსტრუქციული, საქმიანი კამათიდან და დისკუსიიდან, რაც გამომდინარეობს ეროვნული ინტერესებიდან, ამ ქვეყნის ევროპული ინტერესებიდან და ამ ქვეყნის დემოკრატიული ინტერესებიდან გამომდინარე. ჩვენ ვართ ამ ქვეყანაში უმრავლესობა, ხალხის მიერ არჩეული და სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების შედეგად და კეთილი ნება ამავდროულად იმას ნიშნავს, რომ რაციონალური წინადადებების გაზიარების ვალდებულება ხალხის წინაშე გვაქვს და არა იმათ წინაშე, რომლებსაც ხელიც კი არ მოუწერიათ ამ შეთანხმებაზე“, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.



ვახტანგ ძაბირაძე: ნაცმოძრაობას მხარს არავინ დაუჭერს!

„თბილისის მერობაზე ნიკა მელია იქნება საკმაოდ სერიოზული კანდიდატი, მაგრამ გააჩნია რას იზამს ოპოზიციის დანარჩენი ნაწილი, ანუ იქნება მხოლოდ მელია ოპოზიციურ ფლანგზე, თუ მელიასთან ერთად იქნებიან კიდევ სხვა კანდიდატები. მგონია, რომ ამ შემთხვევაში კალაძესთან დაპირისპირებით, მელია ბევრს ვერაფერს მოიგებს, თუმცა, ასპარეზზე მისმა გამოსვლამ შეიძლება იმუშაოს ოპოზიციურ პროცენტებზე, რომელიც „ქართულ ოცნებას“ სჭირდება“, – ამის შესახებ ანალიტიკოსმა ვახტანგ ძაბირაძემ განაცხადა.

– „ძართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი კახა კალაძე იქნება, თუმცა, ამის ფონზე, საუბარია, რომ ოპოზიციურ ფლანგზე, დედაქალაქის მერობისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ნიკა მელია იბრძოლებს. ოპოზიციის რა შანსებზე შეიძლება ვისაუბროთ?

– ის, რომ ნიკა მელია მოიგებს თბილისის მერის არჩევნებს, მეეჭვება. ამ ეტაპზე, კალაძე უალტერნატივოა. ჯერ კიდევ ბევრი დროა. ისიც საინტერესოა, როგორ წარმართავს მელია თავის საარჩევნო კამპანიას და ისიც საინტერესოა, დანარჩენი ოპოზიცია რა ჭკუაზე დადგება.

– იმ შემთხვევაში, თუკი მთელი ოპოზიციური პარტიების საერთო კანდიდატი ნიკა მელია იქნება, იზრდება თუ არა მისი შანსები?

– რა თქმა უნდა, ერთი შეხედვით ეს შანსი გაიზრდება, მაგრამ აქ მეორე მხარეა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. ნიკა მელია წარმოადგენს „ნაციონალურ მოძრაობას“ და, როდესაც ერთი ერთზე რჩებიან „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება,“ არჩევანს მოსახლეობა აკეთებს „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში, პოლიტიკური ელიტის ერთიანობა არ ნიშნავს ამომრჩევლის ერთიანობას. ამომრჩეველი შეიძლება პოლიტიკურ პარტიას ან პოლიტიკურ ჯგუფს ხმას აძლევდეს, მაგრამ როგორც კი ეს ალტერნატივა დგება, იღებს სხვა გადაწყვეტილებას, ანუ პარტიული მოწოდებისგან დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, როგორ წარმოაჩენს თავს ნიკა მელია და როგორ იბრძოლებს მერობისთვის, ეს არის საკმაოდ მნიშვნელოვანი. ვფიქრობდი, რომ ნიკა მელია არ გარისკავდა და არ წავიდოდა ამ ნაბიჯზე, მაგრამ, როგორც ჩანს, სხვაგვარად ფიქრობენ „ნაციონალურ მოძრაობაში.“

– „ლელოს“ ინიციატივა იყო, თბილისის მერობის კანდიდატად ოპოზიციას ზეპარტიული პირი წარედგინა. როგორ ფიქრობთ, ვინ შეიძლება იყოს ასეთი ადამიანი?

– თეორიულად ასეთი რამ შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად, ეს მგონია შეუძლებელი. ეს არის თეორიული ვარჯიშები პოლიტიკაში. თავისთავად, იდეა შეიძლება მოსაწონი იყოს, მაგრამ არარეალიზებადია.

– და მაინც, „ქართული ოცნება“ მიიღებს 43%-ს?

– ამ ეტაპზე, ასეთ ვითარებაში კი, მიიღებს, მაგრამ არჩევნებამდე არის ორ თვეზე მეტი. ეს საკმაოდ დიდი დროა იმისთვის, რომ რაღაც პოლიტიკური პროცესები განვითარდეს. ჩვენ არ ვართ დარწმუნებული იმაში, რომ რაღაც მოულოდნელობები არ მოხდება, როგორიც 5 ივლისს იყო, მსგავსი ან უარესი არ განმეორდება. კი, 43%-ს დღეს აიღებდა. რა იქნება ოქტომბერში, ძნელი სათქმელია.

– 5 ივლისის მოვლენები წინასაარჩევნოდ „ქართულ ოცნებაზე“ უარყოფითად არ იმოქმედებს?

– არჩევნებზე ეს იმოქმედებს და იმოქმედებდა გაცილებით ეფექტურად, ამ თემას რომ აპროტესტებდნენ ის ადამიანები, რომელთაც ანალოგიური ან უარესი არ ჩაუდენიათ, როდესაც იყვნენ ხელისუფლებაში. ოპოზიციის პრობლემა სწორედ ესაა. 5 ივლისის მოვლენები გასაპროტესტებელია, მაგრამ რომ ვთქვათ, ამის გამო მხარს დაუჭერენ „ნაციონალურ მოძრაობას,“ აბსურდია, არ გააკეთებენ ამას. ეს ცუდია, მაგრამ იმის დაბრუნება არავის უნდა, რაც მანამდე იყო. ეს არის პრობლემა „ნაციონალური მოძრაობის“ და ზოგადად, ოპოზიციის. ამის გაანალიზება ვერ ხერხდება ოპოზიციაში.

ახალი პოლიტიკური ძალები, რომლებიც შეიქმნენ იმ იმედით – არც „ქართული ოცნება“ და არც „ნაციონალური მოძრაობა“ – თავიანთი შეცდომების გამო, აღმოჩნდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ფლანგზე. ამიტომ, პოლიტიკური წონით, მიზიდულობის ძალას იმ ამომრჩევლისთვის, რომელსაც არც ერთი უნდა და არც მეორე, არ წარმოადგენენ. როდესაც ასეთი არჩევანია, ისევ და ისევ ურჩევნიათ „ქართული ოცნების“ არარადიკალური ზეწოლა, ვიდრე იმის გამეორება, რაც იყო „ნაციონალური მოძრაობის“ დროს.

ესაუბრა
ნიკო ჩოხელი

ოპოზიცია არჩევნების გაყალბებულად გამოსაცხადებლად ფსონს ცესკოს 6-თვიან თავმჯდომარეზე დებს!

ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურა ისევ ჩავარდა – რიგგარეშე სხდომაზე პრეზიდენტის მიერ წარდგენილი პირები ვერ დაამტკიცეს. ოპოზიცია როგორც თავმჯდომარის, ასევე ცესკოს წევრობის კანდიდატებს უნდობლობას უცხადებს. პარლამენტში საკითხი მეორედ ჩავარდა და იგი დღის წესრიგში კიდევ ერთხელ დადგება.

კანდიდატურების შერჩევაში ამოქმედდება ე.წ. დაბლოკვის მექანიზმი, რომელიც კანდიდატების 76 ხმით არჩევას ითვალისწინებს. აღნიშნული მექანიზმის ჩადება ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მიმდინარე მოლაპარაკებებში ევროპული საბჭოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის კრისტიან დანიელსონის შეთავაზებით მოხდა. დანიელსონმა, როგორც ჩანს, კარგად შეისწავლა „ნაციონალური მოძრაობის“ ბუნება და მოსალოდნელი ქმედებები გათვალა.

თუკი ოპოზიციას სამოქალაქო სექტორის მიერ შერჩეული კანდიდატები არ მოსწონს, რომელიც პრეზიდენტმა პარლამენტს ამის შემდეგ წარუდგინა, მაშინ ისმის კითხვა, საკუთარი კანდიდატურა რატომ არ წარადგინეს? ან მესამე სექტორმა რატომ არ შეარჩია, რომელიც როგორც „ოცნებისთვის“, ასევე ოპოზიციისთვის მისაღები იქნებოდა? ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ოპოზიცია ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურას თვითმმართველობის არჩევნებისთვის მანიპულაციის ერთ-ერთ ინსტრუმენტად იტოვებს, რათა წაგების შემთხვევაში ისევ სალაპარაკო ჰქონდეს, რომ არჩევნები გაყალბდა.

„გირჩის“ წევრის **ვახტანგ მეგრელიშვილის** თქმით, „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებაა, რომ ამ არჩევნებისთვის ჰყავდეს თავისი 6-თვიანი კანდიდატურა. შესაბამისად, შედეგებზეც პასუხისმგებლობა „ქართულმა ოცნებამ“ უნდა აიღოს.

„ცესკოს კანდიდატებს ნდობა ვერ ექნებათ, რადგან ისინი მოდიან რეპუტაციაშერყეული სისტემის შიგნიდან“, – განაცხადა „ლელოს“ დეპუტატმა **ანა ნაცვლიშვილმა.**

მისივე თქმით, წარდგენილი პირები არიან ცესკოს მოქმედი თანამდებობის პირები, რაზეც შესაძლოა, ვინმემ თქვას, რომ გამოცდილების თვალსაზრისით, ეს კარგია, თუმცა ისინი უკიდურესად დაზიანებული რეპუტაციის მქონე ინსტიტუტის წარმომადგენლები არიან.

„ცხადია, ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელს, მაგრამ იმ სისტემაში მხოლოდ თამარ ჟვანია არ იყო ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი. თანამდებობის პირები არიან ასევე პასუხისმგებელი და ცხადია, ამ ადამიანების მიმართ ნდობა საზოგადოებაში არ არსებობს. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ნდობა რომ ყოფილიყო მათ მიმართ, არც ეს კრიზისი იქნებოდა, არც ეს რეფორმა გახდებოდა საჭირო. ახლა ყველაფერი წავიდა იქით, რომ მხოლოდ მმართველი პარტიისთვის სანდო ადამიანი გახდეს ცესკოს თავმჯდომარე. ჩვენ ამას მხარს ვერ დავუჭერთ“, – განაცხადა ანა ნაცვლიშვილმა.

განსხვავებულად ფიქრობენ მმართველ გუნდში. პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **მამუკა მდინარაძე** მიიჩნევს, რომ ოპოზიციის ქმედებები განპირობებულია იმით, რომ მათ წინასწარ იციან მარცხის შესახებ და არჩევნების ლეგიტიმურობაზე პრეტენზიას ნიადაგს უქმნიან.

კონსტიტუციონალისტი **ვლადიმერ ბოჟაძე** ამბობს, რომ ოპოზიციის ქცევა იძლევა ლოგიკური ეჭვის საფუძველს, რომ ისინი თვითმმართველობის არჩევნებისთვის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მსგავს სცენარს ამზადებენ. როცა შარლ მიშელის დოკუმენტით და შემდეგ უკვე კანონმდებლობით გაიწერა, რომ დამოუკიდებლად უმრავლესობას ცესკოს ადმინისტრაციის თავმჯდომარე აღარ აერჩია, თამარ ჟვანიას გადადგომის დღიდანვე ოპოზიციასაც და სამოქალაქო სექტორსაც შეეძლოთ, რომ სასურველი კანდიდატურა წარედგინათ, თუმცა მათ ეს არ გააკეთეს. პირიქით, საუბარი იმაზე დაიწყეს, რომ ხელისუფლება მის ცესკოს თავმდჯომარედ დაყენებას აპირებდა. ამიტომაც ბოჟაძე ამბობს, რომ მან განაცხადი მიზანმიმართულად არ შეიტანა, რათა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ახალი დაპირისპირების მიზეზი არ გამხდარიყო.

„მალევე გავაკეთე განცხადება და ვთქვი, რომ არ მინდოდა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის განხეთქილების ვაშლი გავმხდარიყავი. სამოქალაქო სექტორის იგივე ნაწილი, რომელმაც თამარ ჟვანია წლების წინ ცესკოს თავმჯდომარედ წარადგინა, ისევ კომისიაში შედის. შერჩეული კანდიდატებიდან პრეზიდენტს მოქმედი ცესკოს თანამშრომლები თავად წარუდგინეს. ეს ორი ადამიანი ხომ კომისიამ შეარჩია და არა პრეზიდენტმა. თუმცა ჟვანიას გადადგომის შემდეგ, იგივე სამოქალაქო სექტორს ხომ შეეძლო თავისსავე წიაღიდან კანდიდატურა წარედგინა?

ხელისუფლება კი იძულებული იქნებოდა, ოპოზიციის კანდიდატისთვის მხარი დაეჭირა. ამის ნაცვლად ოპოზიციამ აირჩია გზა, რომ ამ პროცესში მონაწილეობა არ მიეღო და ის კანდიდატურები, რომელსაც პრეზიდენტი წარადგენდა, ჩაეგდოთ. ხელისუფლება იძულებული გახადეს, რომ ცესკოს თავმჯდომარე 6 თვით 76 ხმით აირჩიოს. მათ უნდათ ისევ სალაპარაკო თემა ჰქონდეთ. როცა ადგილობრივ არჩევნებში ხელისუფლება 43%-ის აღებას შეძლებს, მაშინ ისევ გამოვლენ და იტყვიან, რომ ცესკოს თავმჯდომარე ჟვანიასთან მუშაობდა და იგივე გამყალბებელია“, – ამბობს ბოჟაძე.

მისივე თქმით, დიდი ალბათობით, ქვეყანას 6-თვიანი ცესკოს თავმჯდომარე ეყოლება და ოპოზიცია ისევ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მსგავსი სცენარის დადგმას შეეცდება. ბოჟაძე ამბობს, რომ ოპოზიცია მხოლოდ იმ არჩევნებს აღიარებს, სადაც თავად გაიმარჯვებს. თუმცა ასეთი არჩევნები არასდროს არ იქნება, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში დაბრუნებას ვერ მოახერხებს. ამას კი არა ცესკოს თავმჯდომარე, არამედ ქართველი ხალხი წყვეტს.

ლიკა ბერიკაშვილი

არც ღირს პროფანების გადარჩენა!

№ 151-152. პარასკევი-კვირა, 9-11 ივლისი, 2021 ნელი.

ამას წინამ სტუდია „გუთანმა“ ფეისბუქში გავრცელა ინფორმაცია „ქართლის ცხოვრების“ 2008 წლის გამოცემის შესახებ, სადაც ეკითხულობთ შემდეგს:

„ბათუმში, მეცნიერთა ჯგუფმა, ნიაზ ბოლქვაძის მეთაურობით, „ქართლის ცხოვრების“ 2008 წლისა და 2012 წლის ახალ გამოცემებში აღმოაჩინა, რომ ამოღებულია მოციქულთა მოღვაწეობა(!) საქართველოში, სტუდია „გუთანი“ საგანგებოდ იმყოფებოდა კონფერენციაზე(!) ბათუმში და ამბადება სპეციალური ეკლეგალიეტა ამ ეანდაღური ფაქტის წინააღმდეგ. გადაცემა ღღეხვე განთავსდება ინტერნეტ ხელრეტში“. ინფორმაცია მთავრდება მოწვლებთით: „გამოეხმაურე ამ შემთხვევას, გაავრცელე ეს ინფორმაცია, გადაარჩინე შენი წალი საქართველო!“

„საერთო გაზეთში“ (14 ივლისი, 2021 წ., 3 25) **გამოქვეყნდა კოლექტიური (!) წერილი (წერილის პათოსის გათვალისწინებით,შემდგომში – კოლწერილი) სათაურით – „უმეცრება თუ მიზანმიმართული დანაშაული? ვინ, რატომ და რა მიზნით გამოსცა საქართველოს ისტორიის მთავარი სახელმძღვანელო, „ქართლის ცხოვრება“ 2008, 2012 წლებში გაყალბებული სახით?“. წერილს ხელს აწერს სხვადასხვა პროფესიის 14 პირი ბათუმიდან.**

ერთი ცრუალმოჩენის გამო

ბაბუაშვილი, მეცნიერთა ჯგუფი, ნიაზ ბოლქვაძის მეთაურობით, „ქართლის ცხოვრების“ 2008 წლის ახალ გამოცემებში აღმოაჩინა, რომ ამოღებულია მოციქულთა მოღვაწეობა(!) საქართველოში

ეს ეს

ეს ეს

**ეს ეს

როგორც ძველი, ისე ახალი „ქართლის ცხოვრება“. ეს პრინციპი უდევს საფუძვლად „ქართლის ცხოვრების“ 2008 და 2012 წლის გამოცემებს. რა არის აქ გაუგებარი და საგანგაშო?

სიცხადისთვის მოვიხმოთ ერთი ასეთი მაგალითი. შუა საუკუნეების დიდი ღვთისმეტყველის და ფილოსოფოსის **წმ. იოანე დამასკელის** (დაახლ. 675-649) ნაშრომის – „წყარო ცოდნისას“ ორი ქართული თარგმანი არსებობს – ეფრემ მცირის და არსენ იყალთოელის. თარგმანების მოცულობა და მათ შორის განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ მთარგმნელები სხვადასხვა ნუსხის ხელნაწერებით სარგებლობდნენ.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში გამოიცა ორივე თარგმანი, რათა მომავალ მკვლევარს საშუალება ჰქონდეს შეადაროს ისინი ერთმანეთს. მაგრამ ხომ შეიძლებოდა ერთი თარგმანი გამოცემულიყო, კერძოდ ის, რომელსაც უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევდა გამომცემელი. შეიძლებოდა, მაგრამ მეცნიერული თვალსაზრისით გამართლებული იყო ორივე თარგმანის გამოცემა და ეს ასეც მოხდა. დაახლოებით მსგავსი ვითარებაა „ქართლის ცხოვრების“ 2008 და 2012 წლის გამოცემებთან მიმართებით. ასე რომ, ამ საკითხის ირგვლივ ატეხილი ხმაური ჭიქაში ქარიშხლის დაყენების ტოლფასია და სხვა არაფერი.

გავაგრძელოთ საუბარი და ისევ დავუბრუნდეთ კოლწერილს. ქართული მეცნიერება არასოდეს განიცდიდა საქართველოს ისტორიის მაღალკვალიფიციური მკვლევრების ნაკლებობას. როგორ დავიჯეროთ, რომ საქართველოს ისტორიის, კერძოდ – „ქართლის ცხოვრების“ ეს გაყალბება, „გარყუნა“ და ვანდალიზმი ვერავინ შენიშნა, ვიდრე ამას არაისტორიკოსები „აღმოაჩენდნენ“? ეს ხომ ამავე დროს ნიშნავს, რომ ქართველმა ისტორიკოსებმა ამ „ვანდალიზმზე“ შეგნებულად დახუჭეს თვალი, რაც აღნიშნულია კიდეც კოლწერილში.

გამოცემის ავკარგიანობაზე უპირველესად პასუხისმგებელია ავტორი, ამ შემთხვევაში ტექსტის დამდგენები და შემდეგ რედაქტორი. კოლწერილში საერთოდ არ ახსენებენ იმათ, ვინც „ქართლის ცხოვრების“ 2008 წლის გამოცემის (2012 წლის გამოცემა მისი რუსული ვარიანტია) მათთვის საინტერესო მონაკვეთის შემცველი ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს. არადა, სადავოდ გამხდარი „ქართლის ცხოვრების“ ამ მონაკვეთის ტექსტის დამდგენები ხომ ჩვენი სასიქადულო მეცნიერები (ზურაბ სარჯველაძე, მიხეილ ქავთარია, ელენე ცაგარეიშვილი) არიან. როგორ უნდა მოგვიდეს აზრად, ან ვინ დაიჯერებს იმას, რომ ამ რანგის მეცნიერები „ქართლის ცხოვრებას“ დაამახინჯებდნენ და საქართველოს ისტორიას გააყალბებდნენ. **აღნიშნულის გათვალიწინებით ჩნდება გონივრული ეჭვი – მავანთა მხრიდან ერთი პიროვნების წინასწარ განზრახული დისკრედიტაციის მიზნით ხომ არ გაკეთდა ყველაფერი ეს?**

ამასთან, მინდა მკითხველს შევახსენო თუ ვისთან გვაქვს საქმე. კოლწერილის ხელმომწერთაგან რამდენიმე ორი წლის წინ სოფელ-სოფელ დადიოდა და საქმეში ჩაუხედავთ აბოლებდა – აგერ ჩვენი ძმა ნობელის პრემიაზეა წარდგენილი და აქაოდა ნობელის პრემია სულ ახლოს, ხელის გაწვდენაზეა და მხარი დაგვიჭირეთო. ზოგიერთს სერიოზულად სჯეროდა ეს აბსურდი.

მივადექით მთავარ სათქმელს – მოტივი, რატომ და რის გულისთვის უნდა დაემახინჯებინათ „ქართლის ცხოვრება“ გამომცემლებს? ამ კითხვას, დარწმუნებული ვარ, ვერავინ უპასუხებს. მახსენდება 1937 წელს დახვრეტილი ქობულეთელი ოსმან მოწყობილის დაკითხვის ოქმი. ჩეკისტ-გამომძიებლის შეკითხვაზე – რა მიზანი ჰქონდა მას, მოწყობილი პასუხობს: აჭარა უნდა ჩამომეცილებია საქართველოსთვის და უცხო ქვეყნისთვის მეჩუქებინაო.

ანალოგიურ აბსურდთან გვაქვს საქმე კოლწერილში, როცა „ქართლის ცხოვრების“ დამახინჯებისა და „გარყუნის“ მოტივებზე დავსვამთ კითხვას.

დავუშვათ, გაჩნდა ეჭვი, რომ „ქართლის ცხოვრების“ 2008 და 2012 წლების გამოცემებში რაღაც მთლად კარგად ვერ არის საქმე. ხომ შეიძლებოდა დაწერილიყო სამეცნიერო ხასიათის კრიტიკული სტატია, ერთი საქმის მცოდნის ხელმოწერით, რასაც დარწმუნებული ვარ ბატონი როინი გამოაქვეყნებინებდა საისტორიო ჟურნალში. სწორედ აქ ხომ არ არის ძაღლის თავი დამარხული, კერძოდ, ვერსად მოიძებნებოდა ამ აბსურდზე ხელმომწერი საქმის მცოდნე. ან რაღა დროის ეს საბჭოური კოლწერილებია, ავბედით დროს რომ გვახსენებს თავისი „ტროიკებით“.

რახან „ქართლის ცხოვრების“ ამგვარი დამახინჯების, ვანდალიზმისა და „გარყუნის“ რეალური მოტივი ვერ მოიძებნა, სხვა მხრივ ხომ არ დავინტერესდეთ? აგერ 17 წელი გავიდა, რაც დაპირისპირება (პოლიტიკური, სოციალური, ფინანსური) ცენტრსა და რეგიონს (თბილისსა და ბათუმს) შორის წარსულს ჩაბარდა, აღარც ჩოლოქის ბარიერებია. ამ რთულ ვითარებაში ვიღაცას ხომ არ გაუჩნდა ამ დაპირისპირების ინსპირირებისა და აღორძინების სურვილი? ცრუ მოტივიც სახეზეა – **„აჭარლებს გვჩაგრავენ“** (სამწუხაროდ, ზოგიერთი დღესაც ვერ განთავისუფლებულა ამ პროვინციული კომპლექსისგან), რაც ღიად თუ შეფარულად იკითხება კოლწერილში. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სწორედ ამ მოტივით აგულიანებდნენ კოლწერილის მოთავეები ხელმომწერებს. თუკი შეესაბამისი უწყებების დაინტერესებაზე მიდგება საქმე, რასაც დაჟინებით ითხოვენ კოლწერილში, აი მართლაც რით უნდა დაინტერესდნენ ისინი.

და ბოლოს, ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, ჩნდება ლეგიტიმური კითხვა – რატომ და რისთვის ატყდა ეს ბაქანალია? რა არის ეს – **პროვინციული ასკინკილა, ჭაობი თუ სულაც ფსკერი!**

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ,

ფილოს. მეცნ. დოქტორი, პროფესორი, ლიტერატურაში სახელმწიფო, ფილოსოფიაში აკად. შალვა ნუცუბიძის სახელობითი და მეცნიერებაში ეროვნული პრემიების ლაურეატი.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 24 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 2021 Წ.

P.S. **ᲙᲝᲚᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ** ეს შხამიანი ისრები არსებითად მიმართულია აკად. როინ მეტრეველისადმი, რომელიც არის არა მხოლოდ 2008 და 2012 წლებში გამოცემული „ქართლის ცხოვრების“, არამედ 2017-2020 წლებში გამოცემული ახალი „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორიც. კოლწერილის მიხედვით, მას ბრალდება უმძიმესი ცოდვა ბბქართლის ცხოვრების“ ხელყოფისთვის (ქვეტექსტით – აჭარასთან დაკავშირებული მოვლენების). არადა, საყოველთაოდ არის ცნობილი ბატონი როინის განსაკუთრებით კეთილი დამოკიდებულება აჭარისა და მისი წარმომადგელებისადმი. ეს მე საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი. ის ხშირად ჩამოდის ბათუმში, ზოგჯერ არც თუ ისე მნიშვნელოვან შეხვედრებზე. რაღა შორს წავიდეთ, სამი წლის წინათ სწორედ მისი თანხმობით კოლწერილის ერთ-ერთ მოთავეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაღალი ტრიბუნა დაეთმო, მეტიც – აუდიტორიას სწორედ ბატონმა წარუდგინა მომხსენებელი; ერთი ხელმომწერის წიგნზე კი რეცენზიაც გამოაქვეყნა. პირადად მე ეჭვიც არ მეპარება იმაში, რომ ბატონმა როინმა როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, ეს მოიმოქმედა აჭარის მიმართ დიდი პატივისცემის გამო. მაგრამ მას ეს ამაგი დაუფასეს სამარცხვინო საქციელით – კოლწერილზე თავიანთი ხელმოწერებით. აქ რომ ჭეშმარიტებასთან გვქონდეს საქმე, ასე თუ ისე, გასაგები იქნებოდა მათი ეს ქცევა. მაგრამ, როცა ხელს აწერ ამ, შენთვის ამაგდარი პიროვნების შესახებ ისინუაციებსა და უსაფუძვლო ბრალდებებს, ეს რბილად თუ ვიტყვით – უმადურობაა, ხოლო თუ მკაცრად შევაფასებთ - უზნეობა!

ამასთან, მინდა ბატონი როინი დავარწმუნო იმაში, რომ აჭარელი უმადური არ არის და ცდილობს მისდამი კეთილქმედებას გაათმაგებული სიკეთით უპასუხოს. თითო-ოროლა გამონაკლისი ყველგან არის. ასეა ამ შემთხვევაშიც. დარწმუნებული ვარ ასევე ფიქრობს ბატონი როინი.

— —

P.P.S. როგორც ცნობილი გახდა ფეისბუკის გვერდებზე გაჩნდა კოლწერილის მხარდამჭერი გამოხმაურებები. აი როგორ აყვნენ საქმეში ჩაუხედავები კოლწერილის დემაგოგიას. არა უშავს, არცოდნა არცოდვა! საქმის ვითარების გაცნობის შემდეგ, იმედია, ინანებენ კიდეც. არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ ეს მხარდამჭერებიც დაორგანიზებული იყოს.

აქვე აღვნიშნავ, რომ კოლწერილის ხელმომწერთაგან ზოგიერთი აღშფოთებულია – სხვა რამეზე მოვაწერეთ ხელი და არა ამ პასკვილზეო. იმედია, ისინი ამ პოზიციას საჯაროდ დაადასტურებენ კიდეც.

Ა.Ა.

„ᲕᲘᲖᲠᲣᲜᲝᲗ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲙᲘᲜᲝᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲙᲘᲜᲝᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔᲪ!“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ **კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ათწლიანი გეგმის წარდგენაზე თეა წულუკიანმა ქართული კინოს განვითარებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ქართულ კინოს აქვს ინდუსტრიასა და ეკონომიკაში თავისი წვლილის შეტანის შესაძლებლობა, რომელიც დღეს პრაქტიკულად არ არის გამოყენებული.**

მინისტრის თქმით, სამინისტრომ არა მხოლოდ ქართული კინომემკვიდრეობის დაცვასა და გაციფრებაზე, არამედ კინოინდუსტრიის განვითარებაზე უნდა იზრუნოს და ამ მიმართულებით სამინისტრო აპირებს 40 მილიონ ლარამდე ინვესტიციის განხორციელებას.

„ამ კუთხით საჭიროა სამართლებრივი გარემოს შექმნა. ჩვენ გვინდა, რომ მოძველებული საკანონმდებლო ბაზა ევროპული კანონმდებლობით ჩავანაცვლოთ, შევქმნათ საქართველოში კულტურის კოდექსი, რომელიც გააერთიანებს თეატრების თავს, მუზეუმების თავს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თავს და ა. შ. და თითოეულ თქვენგანს შეუქმნის პირობებს უკეთესი შემოქმედებისათვის და გაწერს სახელმწიფოს ვალდებულებებს თქვენთან მიმართებაში“, – მიმართა ხელოვანებს კულტურის მინისტრმა.

მან ასევე საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ 10 წლის მანძილზე 150 პროცენტით გაიზრდება საქართველოს მონაწილეობა ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო პროექტებში.

„აქ ბრძანდებიან ჩვენი მეგობრები, ბატონი და ქალბატონი ელჩები. არიან ისინი, ვინც ზაფხულის პერიოდიდან გამომდინარე, ვერ ესწრება დღევანდელ ღონისძიებას და მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მათ ვუთხრა დიდი მადლობა იმიტომ, რომ ისინი არიან ჩვენს გვერდით. კულტურული გაცვლითი პროგრამები, ერთმანეთის გამოცდილების გაზიარება, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია. ის ჩვენ საშუალებას მოგვცემს, რომ საქართველო, როგორც ტრადიციულად იყო, მომავალშიც გახდეს კვლავ უფრო აქტიური კულტურისა და შემოქმედების რეგიონული ცენტრი“, – აღნიშნა თეა წულუკიანმა.

„ᲞᲐᲜᲓᲔᲛᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ“

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ **საკრებულოს კონკურსის „პანდემია, როგორც შესაძლებლობა“ გამარჯვებულები დასახელდნენ. გამარჯვებულ სკოლებსა და გუნდებს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე და განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი მიესალმნენ და ჯილდოები გადასცეს.**

კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილებით, პირველი ადგილი №203, მეორე ადგილი – №115 და მესამე ადგილი №138 საჯარო სკოლებმა მოიპოვეს. ნომინაციაში „ჟიურის სპეციალური აღნიშვნა“ გამარჯვებულად დასახელდა №16 საჯარო სკოლა, „ხალხის რჩეული“ კი №172 საჯარო სკოლა გახდა. გიორგი ტყემალაძის თქმით, კონკურსის მიზანი პანდემიით გამოწვეული გლობალური პრობლემის პოზიტიურ ჭრილში ხედვა იყო. მისივე თქმით, კონკურსის მიმდინარეობისას მოსწავლეებმა საკუთარ თავში ახალი შესაძლებლობები და ინტერესები აღმოაჩინეს.

„კონკურსი საინტერესოდ და შემეცნებითად წარიმართა. განსაკუთრებულად მინდა გამოვყო მოსწავლეების მიერ გამოვლენილი მაღალი ერუდიცია და სხვადასხვა აქტუალური საკითხების მიმართ სამოქალაქო პოზიცია. მადლობა მინდა გადავუხადო კონკურსის ორგანიზატორებს და ყველა მონაწილეს. მინდა მივულოცო კონკურსში გამარჯვებულებს და წარმატება ვუსურვო მათი ნიჭის წარმოჩინების გზაზე“, – განაცხადა გიორგი ყემალაძემ.

კონკურსის გამარჯვებული სკოლების დირექტორებსა და მოსწავლეებს კონკურსის მხარდამჭერი კომპანიების „ლიბერთი ბანკი“, „ბიბლუსი“ და „ვულე-ვუს“ მიერ დაწესებული საჩუქრები გადაეცათ. საკრებულომ კონკურსი „პანდემია, როგორც შესაძლებლობა“ 2 ივნისს ერთჯერადად გამოაცხადა. პროექტის მიზანი იყო პანდემიის პერიოდის პოზიტიურ ჭრილში განხილვა და ბავშვების დახმარება იმ იდეების, სიახლეების, საინტერესო გეგმების რეალიზაციაში, რომლებიც პანდემიის პერიოდში დაუგროვდათ. კონკურსში თბილისში მდებარე ორმოცდაექვსმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ მიიღო მონაწილეობა.

ᲫᲘᲣᲓᲝ



ᲢᲝᲙᲘᲝᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲰᲘᲛᲜᲘᲪ ᲐᲟᲚᲔᲠᲓᲐ!

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ დედაქალაქში ძიუდოისტ ვაჟთა ოლიმპიურ ტურნირზე მასპინძლებს ოთხი დღის განმავლობაში ტოლი არ ჰყავდათ — ოთხჯერ ავიდნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, თანაც ისე, რომ ორჯერ ფინალში ქართული ბარიერი გადალახეს. შეჯიბრების მეხუთე დღეს კი ტოკიოს ძიუდოს დარბაზში ქართული ჰიმნი აჟღერდა 21 წლის ევროპის ჩემპიონ ლაშა ბექაურის (იგი ახალგაზრდებში მსოფლიოს პირველობების ორგზის და ევროპის პირველობების ოქროსმედალოსანია) გამარჯვების აღსანიშნავად.

გუდამაყრელი ჭაბუკი ძიუდოს ანაბანას არხილოსკალოში კახა წიკლაურის ხელმძღვანელობით გაეცნო. მალე ისეთ სიმაღლეებს მიაღწია, რომ დედოფლისწყაროდან თბილისში გადმოიყვანეს სავარჯიშოდ. დამოუკიდებელი საქართველოს სახელით პირველი ოლიმპიური ჩემპიონის — ზურაბ ზვიადაურის ნათლულმა თვენახევრის წინათ მძიმე ტრავმა მიიღო და ტოკიოში მისი გამგზავრება სათუო გახდა, მაგრამ ზურაბ კახაბრიშვილის ხელმძღვანელობით ექიმებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ბექაური არა მარტო თამაშებზე წასულიყო, არამედ ოლიმპიადაზე ქართული ხუთჯვრიანი დროშა აეფრიალებინა.

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილებისთვის მსოფლიოს ოთხი ჩემპიონი იბრძოდა - ესპანელთა სახელით ნიკოლოზ შერაზადიშვილი, ნიდერლანდელი ნოელ ვან ტენდი, კორეელი დომგჰან გვაკი და სერბი ნემანია მაიდოვი, თუმცა მათგან კვარცხლბეკს ვერავინ მიუახლოვდა. სამაგიეროდ, ქართველმა ძიუდოისტმა იყოჩაღა: პირველ წრეში იგი თავისუფალი იყო. შემდეგ ზედიზედ დაამარცხა ევროპის ჩემპიონატის მესამეადგილოსანი პიოტრ კუჩერა (პოლონეთი), ევროპისა და მეორე ევროპული თამაშების ვიცე-ჩემპიონი ლი კოჩმანი (ისრაელი), მსოფლიოს 2021 წლის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი და აზიის ჩემპიონი დავლათ ბობონოვი (უზბეკეთი), ევროპის ორგზის ჩემპიონი და ბრინჯაოს პრიზიორი მიხაილ იგოლნიკოვი (რუსეთი) და ფინალში გავიდა, სადაც ამ ტურნირზე ჩემპიონთა რისხვად მოვლენილ გერმანელ ედუარდ ტრიპელს დაუპირისპირდა. შეხვედრის დასრულებამდე 2 წუთით ადრე ლაშა ვაზარით დაწინაურდა, მერე მეტოქის შებოჭვა სცადა, მაგრამ იპონამდე 3 წამით ადრე გერმანელი დაუძვრა ქართველის მარწუხებს, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ბექაურისთვის, პირველი ადგილი დაეკავებინა. 2004 წლიდან ეს უკვე მესამე ოლიმპიური ჩემპიონი გვყავს 90 კილოში — ზურაბ ზვიადაური, ირაკლი ცირეკიძე და ლაშა ბექაური. 2016 წელს ვერცხლი დაიმსახურა ვარლამ ლიპარტელიანმა, რომელიც გუშინ 100 კილოში უმედლოდ დარჩა.

ᲕᲐᲟᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲓ - ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲙᲕᲐᲠᲪᲮᲚᲑᲔᲙᲖᲔ

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ქართველი ძიუდოისტი ლაშა შავდათუაშვილი ოცი წლის იყო, 2012 წელს ლონდონში ოლიმპიური ჩემპიონი რომ გახდა. ოთხი წლის შემდეგ რიოში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და აი, 2021 წელს ტოკიოში მესამე ოლიმპიადაზე ვერცხლის ჯილდო დაიმსახურა. ოლიმპიური ჩემპიონის კოლექციას ოფიციალურ შეჯიბრებებში მოპოვებული 18 ჯილდო ამშვენებს. მათ შორისაა მსოფლიოს ჩემპიონობა პირადსა და გუნდურში, ევროპის ჩემპიონატების ხუთი ოქროს მედალი (ერთხელ პირადში).

ტოკიოს ოლიმპიადის სტარტზე შავდათუაშვილმა (73 კგ) დაამარცხა 34 წლის ფრანგი გიიომ ჩეინი, 73 კილოში თბილისის 2019 წლის გრან პრის გამარჯვებული. მერე ჯიბუტელი ადენ-ალექსანდრ ჰუსეინი ჩამოიშორა გზიდან; მეოთხედფინალში პანამერიკული თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, პანამერიკული ჩემპიონატების სამივე სინჯის მედლის მფლობელი კანადელი არტურ მარგელიდონი (1993 წელს პარიზში დაბადებული) დაჯაბნა; ნახევარფინალში მეცხრე წუთზე სძლია 27 წლის სამხრეთკორეელ ძიუდოისტს, მსოფლიოს ჩემპიონატების ერთი ოქროს (2018) და ორი ბრინჯაოს მედლის მფლობელს, აზიის სამგზის ჩემპიონ ენ ჩან-რიმს, რომელსაც კარიერის განმავლობაში სხვადასხვა შეჯიბრების 27 მედალი აქვს მოხვეჭილი. ფინალში ჩვენებური 29 წლის სახელოვან იაპონელ ძიუდოისტს, 2016 წლის ოლიმპიადის გამარჯვებულს, სამგზის მსოფლიოს (სამჯერ კი - გუნდურში) და 2018 წლის აზიური თამაშების ჩემპიონ შოჰეი ონოს დაუპირისპირდა. მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მასპინძელს და ორთაბრძოლის მხოლოდ მე-10 წუთზე დამარცხდა ვაზარით. წაგების მიუხედავად, ლაშა შავდათუაშვილმა ქართული სპორტის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაწერა: იგი პირველი ქართველი ძიუდოისტია (ქართულ სპორტში კი ლეგენდარული ნინო სალუქვაძის შემდეგ მეორე), რომელმაც ოლიმპიური თამაშების სამივე სინჯის მედლის მოპოვება შეძლო, თანაც წლეულს მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა.

„ღმერთს მადლობა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ შევძელი და ოლიმპიადაზე მესამე მედალი მოვიპოვე. ფინალში წაგება გულდასაწყვეტია, ძალიან ახლოს ვიყავი ჩემპიონობასთან, მაგრამ ეს სპორტია. ბრძოლისთვის მოტივირებული და ოლიმპიადაზე თავისუფლად ვიყავი. უზომოდ ბედნიერი ვარ, ვულოცავ საქართველოს, გულშემატკივარს, ჩემს ოჯახს და ყველას, ვინც ამ წარმატებაში წვლილი შეიტანა“, — განაცხადა დაჯილდოების შემდეგ შავდათუაშვილმა.



ქების ღირსია ახალგაზრდებში მსოფლიოს და ევროპის 2019 წლის ჩემპიონი, 23-წლამდელებში ევროპის პირველობების ოქროს და ბრინჯაოს მედლის მფლობელი ძიუდოისტი ეთერ ლიპარტელიანი (57 კგ). პირველ წრეში მან აფრიკის ჩემპიონი დიასონემა მუკუნგუი (ანგოლა) დაამარცხა. მერე მის გზას გაუყენა 2021 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატების ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედლის მფლობელი გერმანელი ტერეზა შტოლი; მეოთხედფინალის დამატებით დროში მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლისა (გუნდური) და ევროპის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორ სარა-ლეონი სიზიკთან (საფრანგეთი) წააგო. დამამშვიდებელში პოლონელ მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორ იულია კოვალჩიკს აჯობა, მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლაში კი აზიისა და მსოფლიოს ჩემპიონ (ორი ვერცხლის მფლობელ) ცუკასა იოშიდასთან (იაპონია) ვერაფერს გახდა და საბოლოოდ მე-5 ადგილით დაკმაყოფილდა, რაც ქართული ქალთა ძიუდოსთვის დიდი წარმატებაა.

ᲚᲔᲥᲡᲝ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ

ᲙᲝᲚᲔᲒᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲥᲢᲝᲠᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐᲖᲔ

ᲢᲝᲙᲘᲝᲨᲘ მიმდინარე ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ძიუდოს ტურნირს ქართველი დიქტორი ჰყავს — გიორგი ჭანიშვილი, რომელიც 2015 წლიდან ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის (IJF) ოფიციალური დიქტორია. ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე მიწვევით ჭანიშვილი გახდა პირველი ქართველი დიქტორი, რომელიც ოლიმპიურ თამაშებს უძღვება.



საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში დღესაც მუშაობენ ქართველი სპეციალისტები სხვადასხვა მიმართულებით — მსაჯები, დელეგატები, მენეჯერები, თუმცა საერთაშორისო დონეზე სპორტული დიქტორი აქამდე არ გვყოლია, მით უფრო, როდესაც საუბარია ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე, ყველაზე მასშტაბურ სპორტულ მოვლენაზე, რომელსაც მთელ მსოფლიოში მილიონობით გულშემატკივარი ჰყავს.

გიორგი ჭანიშვილი 2015 წლიდან დიქტორი იყო არაერთ მნიშვნელოვან სპორტულ ფორუმზე, მათ შორის წაიყვანა ძიუდოს 5 მსოფლიოს ჩემპიონატი, ძიუდოს მსოფლიო ტურნეს 30-ზე მეტი ტურნირი — მასტერსი, გრან სლემი, გრან პრი, კონტინენტური ჩემპიონატები, ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები ბუენოს აირესი — 2018 და ბევრი სხვა.

გიორგი ჭანიშვილი (ოლიმპიადის დიქტორი): **„ოლიმპიური თამაშების დიქტორობა ძალიან დიდი პატივი და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ხვდები, რომ ოლიმპიადაზე მარტო საკუთარ თავს არ წარმოადგენ. შენს უკან დგას შენი ქვეყანა და ცხადია, ეს ფაქტორი მოტივაციას კიდევ უფრო მმატებს, რომ ჩემი საქმე მაღალ დონეზე ვაკეთო. ოლიმპიადამდე ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად მოვედი და დაახლოებით ის გზა გავიარე, რომელსაც სპორტსმენი გადის პროფესიულ კარიერაში. დიქტორობა შედარებით მოკრძალებული ტურნირების წაყვანით დავიწყე, გამოცდილება შევიძინე, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელთა ნდობა მოვიპოვე და მალევე ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატების წაყვანაც მომიხდა. ასე მოვედი ოლიმპიადამდე, რაც საბოლოო ჯამში დიდი შრომის შედეგია. რა თქმა უნდა, ეს წარმატება მარტო მე არ მეკუთვნის. ოლიმპიადამდე საკმაოდ რთული ეტაპები გავიარე და ამ პროცესში უდიდესი როლი ითამაშეს ჩემი ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა, რომელთა მხარდაჭერასაც მუდმივად ვგრძნობდი, რისთვისაც მათ მადლობა მინდა გადავუხადო. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და ოლიმპიადაზე მონაწილე საქართველოს ოლიმპიური გუნდის თითოეულ წევრს წარმატებას ვუსურვებ“.**

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲖᲕᲔᲠᲔᲕᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲐ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა ტოკიოს ოლიმპიურ კორტებზე ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგო.

სტარტზე, როგორც ვწერდით, ესპანელი რობერტო კარბალეს ბაენა ორ სეტში დაჯაბნა. ამჯერად ტურნირზე მე-13 ნომრად განთესილი იტალიელი ლორენცო სონეგო სამ პარტიაში 2:1 დაამარცხა. ორთაბრძოლა 2 საათსა და 43 წუთს გაგრძელდა. ბასილაშვილმა პირველი ხელი 6:4 მოიგო, მეორეში კი აპენინელმა უკეთ ითამაშა და 9-დან ექვს გეიმში წარმატებას მიაღწია. კრიტიკულ სიტუაციაში ქართველმა ჩოგბურთელმა მატჩში გარდატეხის შეტანა შეძლო — ზედიზედ ოთხი გეიმი თავის სასარგებლოდ დაასრულა, საბოლოოდ კი 6:4 გაიმარჯვა და მერვედფინალში გავიდა, სადაც მე-4 ნომრად განთესილ გერმანელ ალექსანდრ ზვერევთან დამარცხდა — 4:6, 6:7.

ᲒᲘᲕᲘ ᲒᲐᲒᲣᲐ

ᲙᲠᲘᲖᲘ

ᲣᲘᲚᲑᲚᲝ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ

ᲒᲐᲡᲣᲚ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ტოკიოს რინგზე საქართველოს მოკრივეთა ნაკრების ორმა წევრმა იასპარეზა, მაგრამ, სამწუხაროდ, ორივემ წააგო და ოლიმპიადას დაემშვიდობნენ. 22-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის, ევროკავშირის პირველობის, მინსკში მეორე ევროპული თამაშების ვერცხლის პრიზიორმა და დავით კვაჭაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულმა სახილ ალახვერდოვმა შარშან ლონდონში სალიცენზიო შეჯიბრებაზე დუშან ინჯიჩის (სერბეთი) ძლევით ოლიმპიადის საგზური გაინაღდა, მაგრამ ტოკიოში პირველსავე წრეში 2016 წლის რიოს თამაშების, 2015 წლის მსოფლიოს და აზიის ჩემპიონატების მესამე პრიზიორს, 28 წლის ჩინელ ჰუ ცზიანგუანს ვერ გუმკლავდა.

75 კილოში მისი ბედი გაიზარა 22-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის მეორეადგილოსანმა, ბაქოს, მინსკისა და დავით კვაჭაძის სახელობის ტურნირების მეორე და მესამე პრიზიორმა გიორგი ხარაბაძემ. მან ოლიმპიადის საგზური წლეულს პარიზის ტურნირზე დაიმსახურა. ტოკიოს რინგზე ხარაბაძემ 25 წლის ფანატ კახრამონოვთან (უზბეკეთი) პირველი რაუნდი 0:5 წააგო, მეორეში კი ტრავმა მიიღო — წარბქვეშა ჭრილობიდან სისხლდენის გამო რეფერიმ ორთაბრძოლა შეწყვიტა. არბიტრებმა გამარჯვება უზბეკს მიაკუთვნეს.

ᲚᲐᲨᲐ ᲓᲘᲓᲘᲐ

რისთვის სჯის რუსეთი კორონავირუსით შეპყრობილ აფხაზეთს

კორონავირუსმა აფხაზური ჯანდაცვის სისტემა მუხლზე დააჩოქა. ეს თავად მედიკოსებისა და მაღალი რანგის ჩინოსნების საჯარო განცხადებების გარეშეც ნათელია. კოვიდ-ცენტრებში სტაციონარულ მკურნალობაზე 317 პაციენტი იმყოფება. ადამიანები ვირუსისგან ყოველდღიურად იღუპებიან, ლეტალური შემთხვევების რაოდენობა მოკლე პერიოდში 277-მდე გაიზარდა.

აფხაზეთის ყველა კოვიდ-ცენტრი საოცრად გადატვირთულია. ყოველდღიურად იქ მთელი აფხაზეთიდან 50-ზე მეტი ინფიცირებული გადაჰყავთ, თავისუფალი ადგილები კი აღარ არის. რამდენიმე კვირაა, წარმოიშვა მედიკოსებისა და სამედიცინო პრეპარატების დეფიციტიც. კლინიკებში საწოლებიც კი აღარაა, რის გამოც პაციენტებს ველარ აწვენენ. ათობით ადამიანი ყოველდღიურად სამკურნალოდ აფხაზეთის ფარგლებს გარეთ გაჰყავთ: ტურისტები — რუსეთში, დანარჩენები — საქართველოში.

ვითარება იმდენად დამძიმდა, რომ პარლამენტის დეპუტატებს ამ დღეებში საგანგებო სხდომის ჩატარება და როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე მთელი მსოფლიოსთვის რეალობის გამხელა სურდათ. სესიის ნაცვლად ხმაურიანი სკანდალი მივიღეთ, რომელიც რიგმა პროსახელისუფლებო დეპუტატებმა ხალხს პოლიტიკურ პროვოკაციად წარუდგინეს. მთელი საქმე კი იმაშია, რომ დეპუტატების ნაწილმა სესიაზე აფხაზური მედიცინისთვის რუსეთის მიერ შექმნილი პრობლემების გაჟღერება განიზრახა. აქ რესპუბლიკაში რუსეთიდან არა მარტო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამედიცინო პრეპარატების, არამედ ვაქცინის შეტანაზე უარიც იგულისხმება. დეპუტატებს სურდათ, გაემხილათ ისიც, რომ რუსებს აფხაზეთიდან მოქალაქეების საკურნალოდ მიღებაც კი არ სურთ და თავის კლინიკებში მხოლოდ რუსი ტურისტები გადაჰყავთ.

„საავადმყოფოები გადაჭედილია და პაციენტებს ველარ ვიღებთ. კოვიდის გავრცელების კუთხით ვითარება უკვე საშიშ ხასიათს იძენს. და ეს ყველაფერი — იმის გამო, რომ აუცილებელი ზომები დროულად არ იქნა მიღებული“, — განაცხადა დეპუტატმა გარი კოკაიამ.

„არჩევანის წინაშე ვდგავართ: ან ტურიზმი, ან მოსახლეობის ჯანმრთელობა“, — განაცხადა მისმა კოლეგამ ალხას ჯინჯოლიამ და დეპუტატებს არაოფიციალური ინფორმაცია გააცნო იმის შესახებ, რომ რუსეთმა აფხაზეთს ვაქცინა „Sputnik V“-ის მორიგი პარტიის გამოყოფაზეც უარი განუცხადა (ვაქცინაციის პირველი ეტაპი ცოტა ხნის წინ დასრულდა). დეპუტატებმა მოუწოდეს ხელისუფლებას, საკითხის გადაჭრის ალტერნატიული გზები იპოვოს და ერთ-ერთ ვარიანტად საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის დახმარების თხოვნა შესთავაზეს.

„ხალხი წამლებს ითხოვს, ძვირი პრეპარატების ყიდვის შესაძლებლობა არ აქვს, ხელისუფლება კი გვიმტკიცებს, რომ ყველაფერი კარგადაა. მაინც სადაა კარგად? ჩვენ რა, სხვადასხვა სამყაროში ვცხოვრობთ?!“, — აღშფოთდა დეპუტატი ნატალი სმირი.

„ყოველდღიურად ინფიცირებულთა რაოდენობით ახალ-ახალ რეკორდებს ვხსნით. ქვეყანაში ძალზე რთული ეპიდემიოლოგიური ვითარებაა და უცებ ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვაქცინით მომარაგებაზე უარი გვითხრეს! თუ ეს სიმართლეა, ბრავო ჩვენს მოკავშირესა და სტრატეგიულ პარტნიორს!“, — წერს თავის Facebook-გვერდზე ინტერნეტ-მომხმარებელი ესმა არშბა.

მას სხვებმაც აუბეს მხარი და რუსეთი აფხაზეთის მიმართ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაში დაადანაშაულეს.

სოცქსელების მთელი აფხაზური სეგმენტი აჭრელებულია დახმარების თხოვნებით. ადამიანები კორონავირუსის სამკურნალოდ უმთავრესად ორი სახის წამლებს ეძებენ, რომლებიც არა მარტო აფხაზეთში, რუსეთშიც არაა გაყიდვაში. ისინი, ვინც ახლობლების დახმარებით მაინც ახერხებს ამ პრეპარატების უცხოეთში შეძენას, იძულებულები არიან, ერთ შეკვრაში 180-200 ათასი რუბლი იხადონ.

„აი, ასე ვცხოვრობთ. პენსიებს არ გვაძლევენ, ხელფასები იგვიანებს. ფასები გაორმაგდა და არა მარტო პროდუქტის, არამედ წამლებისაც. ყველაფერთან ერთად, ახლა აღარც რუსეთში გვიშვებენ სერტიფიკატისა და აცრის გარეშე. აი, ასე ვუყვარვართ სტრატეგიულ პარტნიორს, უფროს ძმასა და მეზობელს. ჰოდა, როგორც იტყვიან, უკომენტაროდ“, — აღშფოთებულია ჩვენი თანამოსაუბრე ამრა. და მართლაც, რუსეთი აფხაზეთის სახელმწიფო ორგანოების მიერ ვაქცინაციის სრული კურსის გავლის შესახებ გაცემულ სერტიფიკატებს არ სცნობს. აფხაზეთის ხელისუფლების არაერთი თხოვნის მიუხედავად, მოსკოვი არ რეაგირებს.

„აიბღა მოგვეცით, ბიჭვინთა მოგვეცით 200 ჰექტარი საუკეთესო მიწითურთ, ის მოგვეცით, ეს მოგვეცით“ ეს რა, ნორმალურია??“, — წერს Facebook-ში ინტერნეტ-მომხმარებელი თენგო დბარი. და ეს სიტყვები საუკეთესოდ აღწერს აფხაზეთის მკვიდრთა განწყობას რუსეთის მიმართ. ამასობაში კი აფხაზეთში კორონავირუსი მძვინვარებს, არ ინდობს აღარც ახალგაზრდებს, აღარც ბავშვებს. ბევრი ტურისტი აფხაზეთში ინფიცირებული ჩადის, ხელისუფლება კი თავს იკავებს, მათთვის PCR-ტესტირების პასუხის სავალდებულო წარდგენა დააწესოს, თან ჩასულებს უფასოდ მკურნალობს.

თავად აფხაზეთის მოსახლეობა ამ დროს დახმარებისთვის საქართველოს მიმართავს, რომელიც, საკუთარი რთული ვითარების მიუხედავად, უფასოდ აგრძელებს აფხაზეთის მოსახლეობის გადარჩენას — უხმოდ, შანტაჟის, პოლიტიკის, თავმოწონების გარეშე.

კრისტინა ავიძბა.

მასალა მომზადებულია საინფორმაციო საagენტო „აქცენტისა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია GRASS-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რომელიც ღია საინფორმაციო პარტნიორობის (OIP) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება

სანთელი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები დიდი გულისტკივილით იუწყებიან გაზეთის აწგარდაცვლილი თანამშრომლის, დამსახურებული ჟურნალისტის ვლადიმერ (ვალიკო) სიმონიშვილის მეუღლის, უკეთილშობილესი ქალბატონის

ნანა ვადაჭკორია-სიმონიშვილის

გარდაცვალებას.

ქალბატონი ნანა გახლდათ დამსახურებული პედაგოგი, მრავალი თაობის ღირსეული აღმზრდელი, ლეგენდარული შალვა ამონაშვილის სკოლისა და იდეების მიმდევარი, მზრუნველი დედა და ბებია. ვუსამძიმრებთ გარდაცვლილის შვილებს გიორგისა და თამარს, შვილიშვილებსა და ყველა ახლობელს. ქალბატონი ნანას სახით ქართულმა პედაგოგიურმა სკოლამ ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი დაკარგა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს სპეტაკი და ამაგდარი ქალბატონის სული.

სვეტლანა აბშილავა, შალვა მგალობლიშვილი ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი ნათესავი

მარიამ (მარი) ივას ასული აბშილავა

ლევან მაკალათია, გურამ გუნავა, მევლუდ მიმინოშვილი, გია კუცია, რობერტ ჭანტურია, სოსო ქოიავა, ზაურ თელია, ავთანდილ გაბელაია, ვეფხია ცომაია თანაუგრძნობენ გია ქობალავას დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის

გულისა ხოფერია-ქობალავას

გარდაცვალების გამო.

სემეკ-მა „ენერგო პრო ჯორჯია“ დააჯარიმა

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკ) სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 20 000 ლარით დააჯარიმა.

როგორც სემეკ-ში განმარტავენ, **დაჯარიმების საფუძველია კომპანიის მიერ სემეკის ელექტრონულ ჟურნალში არასრული ინფორმაციის შეყვანა, რაც წარმოადგენს „ლიცენზირების წესისა და ენერგეტიკული საქმიანობის თაობაზე შეტყობინების წესისა“ და „მომსახურების ხარისხის წესების“ დარღვევას.**

მიმდინარე წლის მარტში მოქალაქემ მომართა სემეკ-ს განცხადებით, რომელშიც მიუთითა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კობაძეში ხშირი იყო ელექტროენერგიის წყვეტები „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მხრიდან. მომხმარებელმა კომისიაში წარმოადგინა 2019 წლის აგვისტოდან 2021 წლის მარტამდე სს „ენერგო-პრო ჯორჯიისგან“ მიღებული მოკლე ტექსტური შეტყობინების თარიღი ავარიულ გათიშვებთან დაკავშირებით. მომხმარებლის განმარტებით, ელექტროენერგიის გათიშვები გაცილებით ხშირი ხასიათის იყო, ვიდრე ამას ასახავდა კომპანიისგან მიღებული მოკლე ტექსტური შეტყობინებები. აღნიშნული დადასტურდა სემეკ-ის მოკვლევის შედეგადაც. ამასთანავე, გამოვლინდა, რომ სემეკ-ის ელექტრონულ ჟურნალში კომპანიის მიერ დაფიქსირებული წყვეტების რაოდენობა იყო არაზუსტი და კომპანიას ელექტრონულ ჟურნალში წყვეტებთან დაკავშირებული გარკვეული ინფორმაცია არ ჰქონდა შეყვანილი. კომპანიას განემარტა, რომ მსგავსი ტიპის დარღვევის განმეორების შემთხვევაში, სემეკი იმსჯელებს გაორმაგებული ჯარიმის დაკისრების თაობაზე“, — აღნიშნულია ინფორმაციაში.

კარატეს შავი ქამრის მფლობელი 83 წლის ქალბატონი

მსახიობმა ჩაკ ნორისმა იუტას შტატის მკვიდრს, 83 წლის კეროლ ტეილორს კარატეს შავი ქამარი გადასცა. კეროლ ტეილორის განცხადებით, საბრძოლო ხელოვნებით ის 15 წლის წინ, 68 წლის ასაკში დაინტერესდა, როდესაც მას შვილიშვილი კარატეზე დაჰყავდა.

ამის შემდეგ ტეილორი ჩაკ ნორისის მიერ დაფუძნებული „საბრძოლო ხელოვნების გაერთიანებული ფედერაციის“ საერთაშორისო ყრილობაზე გამოვიდა და სხვადასხვა ილეთი აჩვენა.

ჯეკპოტს ხუთი წელი ელოდა

კანადის სოფელ ენისმორში მცხოვრები ქალი 5 წელი ლატარიაში ერთსა და იმავე ციფრებს ირჩევდა და 208 000-ზე მეტი კანადური დოლარი მოიგო. 63 წლის ენ ჰიკის თქმით, ის რეგულარულად თამაშობდა ლატარიას და მუდმივად ერთსა და იმავე ციფრებს ირჩევდა. როგორც აღმოჩნდა, გათამაშება ჯერ კიდევ შარშან 8 სექტემბერს გაიმართა, თუმცა გამარჯვების შესახებ მხოლოდ ახლა გაიგო, რადგან ბილეთის შემოწმება დააგვიწყდა.

მოკლედ

სოჭი. ფიდეს მსოფლიოს თასის გათამაშება ჭადრაკში. ნოკაუტსისტემა. მეოთხე ეტაპი. ნანა ძაგნიძე — პოლინა შუვალოვა (რუსეთი) 1:1 (კლასიკური პარტიები), 1:1 (ტაიბრეიკი), 1,5:0,5 (ელვისებური თამაში). **მეოთხედფინალი:** ძაგნიძე — ანა მუზიჩუკი (უკრაინა).

ბუდაპეშტი. ჭაბუკთა მსოფლიოს პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. „ოქრო“ — ლუკა ჯავახაძე, არჩილ ბოლქვაძე; **„ვერცხლი“** — ანრი ფუტკარაძე; **„ბრინჯაო“** — თამაზ ღლონტი, რატი და ანრი ხოზრევანიძეები.

სოფიის თასის მე-11 გათამაშება ახალგაზრდა წყალში მხტომელთა შორის. მარიამ შანიძე: **„ოქრო“** — სამმეტრიანი ტრამპლინი; **„ვერცხლი“** — ერთმეტრიანი ტრამპლინი.

◎ ღვაწლი

მოწოდების ერთგული

თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების კალათბურთელს ნუგზარ ჭეიშვილს 70 წელი შეუსრულდა.

საყვარელ საქმეში ნაადრევად თმაშეევერცხლილი დამსახურებული მწვრთნელის სახელს უკავშირდება ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონის — თსუ-ს ქალთა გუნდის მიღწევები და ვაჟთა სტუ-ჯეოსელის მიერ 2005 წლის სეზონში შესრულებული დუბლი — ეროვნული თასის მოპოვება და სუპერლიგაში გამარჯვება.

საიუბილეო თარიღს გილოცავთ, ამაგდარო!

„სრ“ სპორტის რედაქცია

კოვიდგადატანილებს ინტელექტის დონე უქვეითდებათ

ბრიტანელმა მეცნიერებმა კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ კორონავირუსი ნეგატიურ გავლენას ახდენს ადამიანის ინტელექტის დონეზე. შესაბამისი სტატია სამედიცინო ჟურნალში The Lancet გამოქვეყნდა. მეცნიერების ცნობით, ინტელექტის დაქვეითება გამოჯანმრთელების შემდეგაც ნარჩუნდება და მათაც ეხება, ვინც COVID-19-ს მსუბუქად გადაიტანა.

კვლევის მთავარი ამოცანა იყო დაედგინათ, უკავშირდება თუ არა კოგნიტიური მაჩვენებლების გაუარესება სწორედ სწმშვ-19-ს, რადგან კორონავირუსის შემდეგ ბევრი ადამიანი მეხსიერების გაუარესებასა და კონცენტრაციის დაკარგვას უჩივის. ამასთან, ყნოსვის დაკარგვას, რომელიც კოვიდის ერთ-ერთი სიმპტომია, მეცნიერები ცენტრალური ნერვული სისტემის მუშაობის დარღვევას უკავშირებენ.

კვლევაში მონაწილეობა 81 337-მა ადამიანმა მიიღო. 2020 წლის იანვრიდან დეკემბრამდე მათ ინტელექტის დონის დასადგენი ტესტი გაიარეს. მათ შორის კორონავირუსი 12 689 ადამიანმა გადაიტანა. მონაცემების დამუშავების შემდეგ მეცნიერებმა კოვიდგადატანილების შედეგები კვლევის ჯანმრთელი მონაწილეების მონაცემებს შეადარეს. ამასთან, გაითვალისწინეს ისეთი ფაქტორები, როგორებიც არის სქესი, ასაკი, განათლების დონე, შემოსავალი და ა.შ. დადგინდა, რომ კოვიდგადატანილებმა შესამჩნევი კოგნიტიური დეფიციტი აჩვენეს — ტესტი მათზე უარესად გაიარეს, ვისაც კოვიდი არ ჰქონია. განსაკუთრებით ეს იმ დავალებებში იყო თვალსაჩინო, რომელთა შესასრულებლად დაგეგმარება, გადაწყვეტილების მიღება და აბსტრაქტული აზროვნება იყო საჭირო. ყველაზე დიდი პრობლემა კი მათ შორის დადასტურდა, ვინც დაავადების დროს საავადმყოფოში მკურნალობდა.

აიცრები... 100 დოლარით დაგაჯილდოებენ

ნიუ იორკის მერია პირებს, რომლებიც ვაქცინის პირველი დოზით აიცრებიან, 100 დოლარით დაასაჩუქრებს. გავრცელებული ცნობით, სპეციალური შეთავაზება 30 ივლისიდან ამოქმედდება.

აღნიშნულია, რომ შესაძლებელია „სხვა წამახალისებელი ჯილდოების“ მიღებაც, თუმცა დაკონკრეტებული არ არის. ამ დროისთვის, ნიუ იორკის მოსახლეობის 54%-ზე მეტი სრულად არის ვაქცინირებული.

არსთაგამრიგემ რაც დაწერა...

ინგლისის ქალაქ უეიმუტის მცხოვრები ქალი, რომელიც 9 თვის განმავლობაში სახლიდან პირველად გავიდა, მანქანამ გაიტანა. 62 წლის სარა ლიუისს კორონავირუსით დაინფიცირების ეშინოდა, ამიტომ სახლიდან არ გადიოდა, რადგან ის კლინიკური რისკ-ჯგუფის წარმომადგენელი იყო. რამდენიმე დღის წინ კი, ქალმა გარეთ გასვლა გადაწყვიტა.

ლიუისი ტაქსის დაელოდა, გზის გადაკვეთა დაიწყო, მაგრამ მისი მიმართულებით მოძრავი სატვირთო მანქანა ვერ შეამჩნია, რადგან ჩანთიდან პირბადეს იღებდა. ქალი ვერც სატვირთოს მძღოლმა დაინახა და ლიუისი გაიტანა. ის მიღებული ტრავმების შედეგად გარდაიცვალა.

ჩინეთი ბირთვულ შესაძლებლობებს აძლიერებს

ამერიკის მეცნიერთა ფედერაცია აცხადებს, რომ ჩინეთი აფართოებს ბირთვული რაკეტების შენახვისა და მისი მოქმედებაში მოყვანის შესაძლებლობებს. სატელიტიდან გადაღებული ფოტოები ცხადჰყოფს, რომ ჩინეთის დასავლეთით მდებარე სინძიანის პროვინციაში, პეკინი ბირთვული რაკეტების შესანახ ასზე მეტ ნაგებობას, ე.წ. სილოსს აშენებს.

პეკინის მზარდი ბირთვული ამბიციების გამო შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა შეშფოთება გამოხატეს. ვარაუდობენ, რომ სინძიანში მდებარე ველზე, პეკინს 110 სილოსის განთავსება აქვს განზრახული. სილოსი მიწისქვეშა ნაგებობაა, რომელიც გამოიყენება რაკეტების შენახვისა და გაშვებისთვის. სინძიანის გარდა, ჩინეთი სილოსებს აშენებს განსუს პროვინციაში. იუწყებოდნენ, რომ იქ 120 სილოსი დააფიქსირეს.

2020 წელს პენტაგონი აცხადებდა, რომ ჩინეთი გეგმავს თავისი ბირთვული მარაგების გაორმაგებას. იმ დროის ოფიციალური მონაცემების თანახმად, ჩინეთი 200-ზე მეტ ბირთვულ ქობინს ფლობდა. შედარებისთვის, შეერთებული შტატები დაახლოებით 3 800 ქობინს ფლობს.

სიტუაცია კვლავ დაძაბულია

სომხეთის მთავრობისა და საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის მიუხედავად, სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრის გასწვრივ სიტუაცია არ სტაბილიზირდება, — განაცხადა სომხეთის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ნიკოლ ფაშინიანმა.

„აზერბაიჯანი განაგრძობს აგრესიულ რიტორიკასა და აგრესიულ ქმედებებს და შექმნილი ვითარების გადაჭრის კუთხით საერთაშორისო საზოგადოების ყველა წინადადებას უგულებელყოფს“, — აღნიშნა ნიკოლ ფაშინიანმა. სომხეთის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი წინადადებით გამოვიდა, სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრის გასწვრივ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის დამკვირვებლებისა და რუსი მესაზღვრეების საყრდენი პუნქტები განლაგდეს.

„შექმნილ ვითარებაში მივიჩნევ, რომ მიზანშეწონილია აზერბაიჯანთან საზღვრის გასწვრივ რუსი მესაზღვრეების საყრდენი პუნქტების განლაგების საკითხი განვიხილოთ. ეს საშუალებას მოგვცემს დელიმიტაციისა და დემარკაციის სამუშაოები საბრძოლო შეტაკებების რისკის გარეშე ჩავატაროთ“, — განაცხადა მან.

28 ივლისს სომხეთის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, რომ აზერბაიჯანელმა სამხედროებმა სომხეთის საზღვრის ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს, რის შედეგადაც 3 სომეხი სამხედრო დაიღუპა, ხოლო 2 — დაიჭრა.

ბაიდენი ტიხანოვსკაიას შეხვდა

აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ბელარუსის ოპოზიციის ლიდერს სვეტლანა ტიხანოვსკაიას შეხვდა.

„ჩემთვის დიდი პატივი იყო თეთრ სახლში სვეტლანა ტიხანოვსკაიასთან შეხვედრა. შეერთებული შტატები ბელარუსი ხალხის გვერდით დგას დემოკრატიისა და ადამიანის უნივერსალური უფლებებისადმი მისწრაფებებში“, — განაცხადა ჯო ბაიდენმა.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 5 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1052; ევრო - 3.6663;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.3091;
100 რუბლი - 4.2235; თურქული ლირა - 0.3623;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8239;
1000 სომხური დრამი - 6.4370.

ამინდი 30 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+9,	დღე	+30
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+32
თბილისი:	ღამე	+18,	დღე	+31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge